სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის,
ტექნოლოგიებისა
და ფარმაციის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ცირა ღვინჯილია

სამეცნიერო კვლევების ურთიერთგავლენებისა, მეცნიერთა მომზადებისა და უნივერსიტეტების კონკურენციის პროცესების მათემატიკური მოდელირება

მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2019

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თემურ ჩილაჩავა**

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების პროფესორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო და განათლების მეცნიერებათა აკადემიების წევრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ექსპერტები: **თამაზ ობგაძე**

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი

რომეო გალდავა

ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები: **თემურ ჯანგველაძე**

ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ნესტან კეკელია

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა მათემატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 19 ნოემბერს 15:00 საათზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.
მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №26, VII სართული, საპრეზენტაციო ოთახი #712.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი /ციალა ძიძიგური/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება
თემის აქტუალობა

როგორც ცნობილია, გამოყენებითი მათემატიკის მრავალი ამოცანისათვის დამახასიათებელია კომპლექსურობა, რაც მოითხოვს, როგორც წესი ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესის ზეგავლენის გათვალისწინებას მიმდინარე მოვლენაზე. გამოჩენილი მათემატიკოსი აკადემიკოსი ა. კოლმოგოროვი აღნიშნავდა: „არსებითად, გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტი, როცა ხსნის ჰიდროდინამიკის ამოცანას, ის იკვლევს ოკეანის ჰიდროდინამიკის პრობლემებს მათემატიკური საშუალებებით. მათემატიკოსებს ყოველთვის უნდათ, რომ მათემატიკა იყოს „სუფთა“, ანუ მკაცრი, დამტკიცებადი. მაგრამ, როგორც წესი, ყველაზე საინტერესო რეალური ამოცანებია, რომლებსაც გვიყენებს ბუნება, ამ მიმართულებით არიან მიუღწევადი. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათემატიკოსს თვითონ შეეძლოს მოძებნოს მიახლოებული, არამკაცრი, მაგრამ პრობლემური ამოცანის გადაწყვეტის ეფექტური გზები. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ყოველთვის ეს ასე იყო: თუ მე ვიკვლევ ტურბულენტობას, მაშინ დაკავებული ვარ ტურბულენტობით... მე, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მეტად ვაფასებ ასეთი ტიპის გამოყენებით მათემატიკოსებს, რომლებიც რაღაც დროის განმავლობაში უკვე მათემატიკოსები კი არ არიან, არამედ დაკავებულები არიან ფიზიკური ამოცანების ამოხსნით, თუ შესაძლებელია, „სუფთა“ მეთოდებით, თუ ეს შეუძლებელია, ჰქმნიან ჰიპოტეზებს“.

ფიზიკური პროცესების მათემატიკურ მოდელირებას დიდი ისტორია აქვს. ფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება ითვალისწინებს მოდელის ადეკვატურობას, რომელიც მოწმდება ნიუტონის არარელატივისტური, კლასიკური მექანიკის ხუთი კანონის შესრულებით: მასის შენახვის კანონი; იმპულსის შენახვის კანონი; იმპულსის მომენტის შენახვის კანონი; თერმო-

დინამიკის პირველი კანონი ანუ ენერგიის შენახვის კანონი; თერმოდინამიკის მეორე კანონი, ანუ ენტროპიის შენახვის კანონი.

უფრო ორიგინალურია მათემატიკური მოდელების შექმნა სოციალურ სფეროში, რადგანაც ეს დაკავშირებულია მათი შედარებით რთული დასაბუთებით.

მიმდინარე გლობალურმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და კაცობრიობის ინფორმატიზაციამ განაპირობა ისეთი მძლავრი მიმართულების შექმნა, როგორიცაა მათემატიკური მოდელირება.

სინერგეტიკამ მძლავრი ბიძგი მისცა მათემატიკური მოდელების გამოყენებას სოციალურ მეცნიერებებში: სოციოლოგიაში, ისტორიაში, დემოგრაფიაში, პოლიტო-ლოგიაში, კონფლიქტოლოგიაში და სხვა.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ასიმილაციისა და გლობალიზაციის სოციალური პროცესების შესწავლა, მათ შორის მათემატიკური მოდელირების მეშვეობით.

ამ მიმართულებით ენობრივი გლობალიზაციის არაწრფივი მათემატიკური მოდელი პირველად შემოთავაზებულ იქნა ნაშრომში:

Temur Chilachava Research Of The Dynamic System Describing Globalization Process. **Springer Proceedings** in Mathematics & Statistics, Mathematics, Informatics, and their Applications in Natural Sciences and Engineering – AMINSE 2017, Tbilisi, Georgia, December 6- 9, 2017**,** v. 276, pp. 67 – 78, 2019.

ერთერთი პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი დარგი მათემატიკური მოდელირების გამოყენებისა არის ინოვაციური პროცესების დინამიკა. გამოკვლევები ამ დარგში გვიჩვენებენ, რომ კრიზისულ მოვლენებს აქვთ არა შემთხვევითი, არამედ სისტემატური ხასიათი და განისაზღვრება დეტერმინირებული მექანიზმებით. ამიტომ ინოვაციური პროცესების ქცევის ბევრი თავისებურება შეიძლება აღიწეროს დიფერენციალური განტოლებების

დეტერმინირებული სისტემების ჩარჩოში. ამ სისტემების რთული ქცევა, თვითორგანიზებულობის ჩათვლით, ექვემდებარება აღწერას არაწრფივი წევრების გათვალისწინების მეშვეობით, რომლებიც ხვდება დინამიური სისტემების მათემატიკურ მოდელებში. მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციური პროცესების მათემატიკური მოდელების გამოკვლევა, ახალი მათემატიკური მოდელების მეშვეობით ისეთი სოციალური მოვლენების აღწერა, როგორებიცაა: ფუნდამენტური კვლევების - გამოყენებითი კვლევების - საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოების - ინოვაციური პროექტების ურთიერთგავლენების პროცესები; მეცნიერთა მომზადების ორი და სამსაფეხურიანი ეტაპები; უნივერსიტეტებს შორის კონკურენციის პროცესები.

ეს მოდელები მეტად აქტუალურია როგორც თეორიული, არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემების (დინამიური სისტემები) კვლევის თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

კვლევის ობიექტი და მიზანი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ვაჩვენოთ მათემატიკური მოდელირების გამოყენების მნიშვნელობა სოციოლოგიაში. კერძოდ, შეიქმნას მათემატიკური მოდელები ისეთი სოციალური მოვლენების აღწერისთვის, როგორიცაა: ფუნდამენტური კვლევების - გამოყენებითი კვლევების - საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოების - ინოვაციური პროექტების ურთიერთგავლენების პროცესები; მეცნიერთა მომზადების ორი და სამსაფეხურიანი ეტაპები; უნივერსიტეტებს შორის კონკურენციის პროცესები.

დისერტაციის კვლევის ობიექტს წარმოადგენს აღნიშნული მოდელების აღმწერი არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის დასმული კოშის ამოცანის შესწავლა

სხვადასხვა საწყისი პირობებისა და მოდელების პარამეტრების შემთხვევაში.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემების მათემატიკური თეორიის (დინამიური სისტემების კვლევა, მათი პირველი ინტეგრალების და ანალიზური ამონახსნების პოვნა) მეთოდების გამოყენებით ხდება იმ მეცნიერული ამოცანების შესწავლა, რაც დაკავშირებულია გამოსაკვლევი მოდელების ანალიზთან.

მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

1. შემოთავაზებულია ინოვაციური სისტემის: ფუნდამენტური კვლევები - გამოყენებითი კვლევები - საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოები - ინოვაციები კოოპერაციული ურთიერთქმედების პროცესების დინამიკის ახალი არაწრფივი მათემატიკური მოდელები. კერძო შემთხვევებისათვის, ნაპოვნია ოთხუცნობიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის კოშის ამოცანის ზუსტი ანალიზური ამონახსნები. შესწავლილია მიღებული შედეგები.

2. განხილულია ახალი არაწრფივი უწყვეტი მათემატიკური მოდელი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ურთიერთგავლენისა ერთ, შესაძლო გარე მომხმარებლისაგან დახურული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგალითზე (მიკრომოდელი, ორგანზომილებიანი დინამიური სისტემა). კოშის ამოცანა პირველი რიგის ორუცნობიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის, ამოხსნილია ანალიზურად ზუსტად. ნაპოვნია სტაციონარული ამონახსნი და ასევე ანალიზურად ზუსტად ამოხსნილია **რიკატის** სპეციალური განტოლებისავის კოშის ამოცანა. უფრო ზოგად შემთხვევაში, **ბენდიქსონის კრიტერიუმის** საფუძველზე, დამტკიცებულია თეორემა ამონახსნთა ფაზური სიბრტყის პირველ მეოთხედში შეკრული ინტეგრალური წირების არ არსებობის

შესახებ. ნაპოვნია პირობები მოდელის პარამეტრებისათვის, რომელთათვის შესაძლებელია არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის შემოსაზღვრული ამონახსნების არსებობა ანუ შეკრული ინტეგრალური წირების არსებობა ამონახსნთა ფაზური სიბრტყის პირველ მეოთხედში.

3. განხილულია ახალი ორგანზომილებიანი არაწრფივი დინამიური სისტემები, რომლებიც აღწერენ მეცნიერთა მომზადების პროცესს, მათ შეუქცევად გადასვლას ერთი კატეგორიიდან მეორეში. მეცნიერთა მომზადების ორდონიან მოდელში განიხილება ორი სუბიექტი: ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები და უკვე დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერები. დასმულია კოშის ამოცანა ორი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის. მათემატიკური მოდელი აღწერს სამეცნიერო კადრების თვითწარმოების პროცესებს, მათი შეუქცევადად გასვლას და გადასვლას ერთი კატეგორიიდან მეორეში. ორდონიანი მოდელი ფაქტიურად დადის **„მსხვერპლი“** (ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები) - **„მტაცებლის“** (დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერები) კლასიკურ მოდელამდე შიგასახეობრივი კონკურენციის გათვალისწინებით (მატების თვითშეზღუდვის წევრები). არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას ამონახსნთა ფაზური სიბრტყის პირველ დახურულ მეოთხედში აქვს სამი წონასწორობის მდგომარეობა, ამასთან, **ტრივიალური ამონახსნის** შესაბამისი წონასწორობის მდგომარეობა, მოდელის პარამეტრების ნებისმიერი მნიშვნელობებისათვის **უნაგირია**, მეორე წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება **„მტაცებელთა“** გადაშენებას და **„მსხვერპლთა“** წონასწორობის (რაოდენობის უცვლელობის) მდგომარეობას, ერთ შემთხვევაში **უნაგირია**, ხოლო მეორე შემთხვევაში - **მდგრადი კვანძია.** ნაპოვნია პირობები მოდელის კონსტანტებზე, რომელთათვის სტაციონარული ამონახსნი, მესამე წონასწორობის მდგომარეობა ამონახსნთა ფაზური სიბრტყის პირველ ღია მეოთხედში

(დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ერთადერთი ზღვრული წერტილი), რომელიც შეესაბამება **„მტაცებელთა“** და **„მსხვერპლთა“** წონასწორობის თანაარსებობას, იქნება **ასიმპტოტურად მდგრადი** (მდგრადი კვანძი ან მდგრადი ფოკუსი).

4. განხილულია სამგანზომილებიანი ახალი არაწრფივი დინამიური სისტემები, რომლებიც აღწერენ მეცნიერთა მომზადების პროცესს, მათ შეუქცევად გადასვლას ერთი კატეგორიიდან მეორეში. მეცნიერთა მომზადების სამდონიან მოდელში განიხილება სამი სუბიექტი: ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები, მეცნიერებათა კანდიდატები და მეცნიერებათა დოქტორები. ნაპოვნია დინამიური სისტემის განსაკუთრებული წერტილები. **რაუსი-გურვიცის** მდგრადობის კრიტერიუმის მეშვეობით გამოკვლეულია მდგრადობაზე განსაკუთრებული წერტილები. კერძო შემთხვევაში, ნაპოვნია სამგანზომილებიანი დინამიური სისტემის პირველი ინტეგრალი, რომელიც ამონახსნთა ფაზურ სივრცეში წარმოადგენს **ორგანზომილებიან ზედაპირს.**

5. განხილულია უნივერსიტეტებს შორის კონკურენციის პროცესების აღმწერი ახალი არაწრფივი მათემატიკური მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ კონკურენციას როგორც შეზღუდული რაოდენობის აბიტურიენტებისათვის, ასევე სტუდენტების მოზიდვას მობილობით (სტუდენტების გადასვლა ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში). მიღებულია დინამიური სისტემა, რომელიც აღწერს ორი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აბიტურიენტთა რაოდენობების (ნაკადების) დინამიკას. მათემატიკური მოდელის მუდმივი კოეფიციენტების შემთხვევაში ნაპოვნია არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის განსაკუთრებული წერტილები. **რაუსი - გურვიცის** მდგრადობის კრიტერიუმის გამოყენებით შესწავლილია ამონახსნების ასიმპტოტური მდგრადობის საკითხი.

6. განხილულია ორ უნივერსიტეტს შორის შეზღუდული აბიტურენტებისათვის კონკურენციის არაწრფივი მათემატიკური მოდელი (მიკრომოდელი, ერთი რეგიონისათვის, სადაც მხოლოდ ორი არჩევანია). კონკურენციის მიკრომოდელი ითვალისწინებს ამ უნივერსიტეტების სტუდენტების კონტინგენტის ცვლილებას ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, მოდელში გათვალისწინებულია: სტუდენტთა პირველ კურსზე ახალი ნაკადის მიღება (ადმინისტრაციის მიერ პიარ-კამპანიით მოზიდული აბიტურიენტები); მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტებსა და აბიტურიენტებს შორის თანამშრომლობა (კოოპერაცია); მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტების მიერ თავისი უნივერსიტეტის რეკლამირება, რათა მობილობით გადმოიბირონ მეორე უნივერსიტეტიდან სტუდენტები. მოდელის პარამეტრების კერძო შემთხვევებში კვადრატურებში ნაპოვნია ზუსტი ანალიზური ამოხსნები.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებული იყო ხუთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე:

1. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VII საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 2016.
2. რთული სისტემების უსაფრთხოების მართვის XXIV საერთაშორისო კონფერენცია, მოსკოვი, 2016.
3. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VIII საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 2017.
4. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IX საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 2018.
5. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის X საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 2019.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. სულ ნაშრომი მოიცავს 106 გვერდს. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 112 დასახელებას.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში განხილულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, მოცემულია კვლევითი თემის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, თავების მიხედვით მოკლედ აღწერილია მიღებული შედეგები, მათი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობები.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია ინოვაციური სისტემის: ფუნდამენტური კვლევები - გამოყენებითი კვლევები - საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოები - ინოვაციები კოოპერაციული ურთიერთქმედების პროცესების დინამიკის არაწრფივი მათემატიკური მოდელები.

პირველ პარაგრაფში მოცემულია კოშის ამოცანა არაწრფივი ოთხუცნობიანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის, რომელიც აღწერს ინოვაციური სისტემის: ფუნდამენტური კვლევები - გამოყენებითი კვლევები - საცდელი-საკონსტრუქტორო სამუშაოები - ინოვაციები კოოპერაციული ურთიერთქმედების პროცესების დინამიკას:

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1(t)u(t) - \beta_1(t)u^2(t) + \delta_1(t) - \delta_2(t) \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = \alpha_2(t)v(t) - \beta_2(t)v^2(t) + \gamma_{21}(t)u(t)v(t) \\ \\ \dfrac{dw(t)}{dt} = \alpha_3(t)w(t) - \beta_3(t)w^2(t) + \gamma_{32}(t)v(t)w(t) \\ \\ \dfrac{dz(t)}{dt} = \alpha_4(t)z(t) - \beta_4(t)z^2(t) + \gamma_{43}(t)w(t)z(t) \end{cases} \tag{1.1}$$

$$u(0) = u_0,\ v(0) = v_0,\ w(0) = w_0,\ z(0) = z_0, \tag{1.2}$$

$$\delta_i(t) > 0, i = 1,2,\ \ \alpha_i(t) > 0, \beta_i(t) > 0, i = \overline{1,4},\ \ \gamma_{21}(t) > 0,$$

$$\gamma_{32}(t) > 0,\ \ \gamma_{43}(t) > 0.$$

კოშის ამოცანის (1.1), (1.2) ამონახსნს $[0,T]$ სეგმენტზე ვეძებთ უწყვეტად დიფერენცირებად ფუნქციათა კლასში $u,v,w,z \in C^1[0,T]$. $u(t), v(t), w(t), z(t)$ - შესაბამისად ფუნდამენტური, გამოყენებითი კვლევების, საცდელ-საკონსტრუქციო და ინოვაციური სამუშაოების რაოდენობებია დროის t მომენტში.

მეორე პარაგრაფში კერძო შემთხვევისათვის - $(\delta_1(t) = \delta_1 = const, \quad \delta_2(t) = \delta_2 = const)$, ნაპოვნია ოთხუცნობიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის კოშის ამოცანის (1.1), (1.2) ზუსტი ანალიზური ამონახსნები და გაანალიზებულია მიღებული შედეგები.

1. $\delta_2 = \delta_1 + \dfrac{\alpha_1^2}{4\beta_1}$

$$u(t)=\frac{4\beta_1 u_0+\alpha_1(2\beta_1 u_0-\alpha_1)t}{2\beta_1[2+(2\beta_1 u_0-\alpha_1)t]} \qquad (1.3)$$

$$D\equiv\frac{\alpha_1^2}{\beta_1^2}+4\cdot\frac{\delta_1-\delta_2}{\beta_1}$$

2. $\delta_2<\delta_1+\dfrac{\alpha_1^2}{4\beta_1}$

$$u(t)=\frac{u_2(u_0-u_1)\exp(-\beta_1\sqrt{D}t)-u_1(u_0-u_2)}{(u_0-u_1)\exp(-\beta_1\sqrt{D}t)-(u_0-u_2)}. \qquad (1.4)$$

3. $\delta_2>\delta_1+\dfrac{\alpha_1^2}{4\beta_1}$

$$u(t)=\frac{2\beta_1 u_0+[\dfrac{\alpha_1(u_0-\dfrac{\alpha_1}{2\beta_1})}{\sqrt{-D}}-2\beta_1\sqrt{-D}]tg(\beta_1\sqrt{-Dt})}{2\beta_1(1+\dfrac{u_0-\dfrac{\alpha_1}{2\beta_1}}{\sqrt{-D}}tg(\beta_1\sqrt{-Dt}))} \qquad (1.5)$$

$$v(t)=\exp[\int_0^t(\alpha_2+\gamma_{21}u(\tau))d\tau]\left\{\frac{1}{v_0}+\int_0^t\beta_2\exp[\int_0^\tau(\alpha_2+\gamma_{21}u(\mu))d\mu]d\tau\right\}^{-1},$$

$$w(t)=\exp[\int_0^t(\alpha_3+\gamma_{32}v(\tau))d\tau]\left\{\frac{1}{w_0}+\int_0^t\beta_3\exp[\int_0^\tau(\alpha_3+\gamma_{32}v(\mu))d\mu]d\tau\right\}^{-1},$$

$$z(t)=\exp[\int_0^t(\alpha_4+\gamma_{43}w(\tau))d\tau]\left\{\frac{1}{z_0}+\int_0^t\beta_4\exp[\int_0^\tau(\alpha_4+\gamma_{43}w(\mu))d\mu]d\tau\right\}^{-1}.$$

მესამე პარაგრაფში განხილულია ახალი არაწრფივი უწყვეტი მათემატიკური მოდელი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ურთიერთგავლენისა ერთ, შესაძლო გარე მომხმარებლისაგან

დახურულ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის მაგალითზე (მიკრომოდელი, ორგანზომილებიანი დინამიური სისტემა). კოშის ამოცანა პირველი რიგის ორუცნობიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის, კერძო შემთხვევაში ($\alpha_1 = \alpha_2, \beta_1 = \gamma_{21}, \beta_2 = \gamma_{12}$)

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1 u(t) - \beta_1 u^2(t) + \gamma_{12} u(t) v(t), \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = \alpha_2 v(t) - \beta_2 v^2(t) + \gamma_{21} u(t) v(t). \end{cases} \tag{1.6}$$

$$u(0) = u_0,\ v(0) = v_0.$$

ამოხსნილია ანალიზურად ზუსტად (ნაპოვნია სტაციონარული ამონახსნი და ასევე ანალიზურად ზუსტად ამოხსნილია რიკატის სპეციალური განტოლებისავის კოშის ამოცანა)

$$u(t) = e^{\int_0^t (\alpha_1 - 2\beta_1 u_1(\tau)) d\tau} \left[y(0) + \beta_1 \int_0^t e^{\int_0^t (\alpha_1 - 2\beta_1 u_1(\tau)) d\tau} d\tau \right]^{-1} + \\ + \sqrt{\frac{\beta_2 u_0 v_0}{\beta_1}} e^{\alpha_1 t} \tag{1.7}$$

$$v(t) = u_0 v_0 e^{2\alpha_1 t} u^{-1}(t),\ u_1(t) = \sqrt{\frac{\beta_2 u_0 v_0}{\beta_1}} e^{\alpha_1 t},$$

$$y(0) = \frac{1}{u_0 - \sqrt{\dfrac{\beta_2 u_0 v_0}{\beta_1}}}, \quad u_0 \neq \frac{\beta_2 v_0}{\beta_1}$$

(1.6) - ის ზოგადი შემთხვევისათვის, **ბენდიქსონის კრიტე-რიუმის** საფუძველზე, დამტკიცებულია შემდეგი თეორემა:

თეორემა 1. როცა (1.6)-ის მოდელის პარამეტრები აკმაყოფი-ლებენ უტოლობათა სისტემას:

$$\begin{cases} \gamma_{12} \geq 2\beta_2, \\ \gamma_{21} \geq 2\beta_1. \end{cases} \tag{1.8}$$

მაშინ ამონახსნთა ფაზური სიბრტყის (O,u,v) პირველ მეოთ-ხედში კოშის ამოცანას (1.5) არ გააჩნია **შეკრული ინტეგრალური წირი,** რომელიც მთლიანად მდებარეობს ამ არეში.

მეორე თავის პირველ პარაგრაფში განხილულია ახალი ორი და სამგანზომილებიანი არაწრფივი დინამიური სისტემები, რომ-ლებიც აღწერენ მეცნიერთა მომზადების პროცესს, მათ შეუქცევად გადასვლას ერთი კატეგორიიდან მეორეში.

ორდონიან მათემატიკურ მოდელში განიხილება ორი სუბიექ-ტი: ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები და უკვე დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერები

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1(t)u - \varepsilon_1(t)u^2 - \beta_1(t)uv, \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = -\alpha_2(t)v - \varepsilon_2(t)v^2 + \beta_2(t)uv. \end{cases} \tag{2.1}$$

$$u(0) = u_0, \;\; v(0) = v_0 \;. \tag{2.2}$$

მათემატიკური მოდელი (2.1), (2.2) აღწერს მეცნიერ-მკვლე-ვარების თვითწარმოების პროცესს, მათ შეუქცევად გასვლას და გადასვლას ერთი კატეგორიიდან (პირველი კატეგორია, ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები) მეორეში (დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერები).

მოდელში შემოღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$u(t)$- ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა დროის t მომენტში,

$v(t)$ - დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა დროის t მომენტში,

$\alpha_1 u(t)$ - ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა თვითწარმოება (დროის ერთეულში სხვაობაა მომზადებასა და გასვლას შორის, რომელიც არ არის დაკავშირებული მეორე კატეგორიაში გადასვლასთან);

$\beta_1 u(t)v(t), \ \ \beta_2 u(t)v(t)$ - დოქტორების მიერ ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა მომზადების ინტენსივობაა;

$\alpha_2 v(t)$ - დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერ - მკვლევართა რიგებიდან გასვლის ინტენსივობაა (გამგზავრება მოცემული სოციუმიდან; სიკვდილიანობა; ინტელექტუალური მიგრაცია; გადასვლა მოღვაწეობის სხვა სფეროში);

$\varepsilon_1 u^2(t), \ \ \varepsilon_2 v^2(t)$- კატეგორიებში თვითშეზღუდვის წევრები (წევრები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითშეზღუდვას ან უსასრულო წარმოებას);

$\alpha_1, \alpha_2, \varepsilon_1, \varepsilon_2, \beta_1$ - მოდელის დადებითი პარამეტრებია.

ასევე სამგანზომილებიანი დინამიური სისტემა, რომელიც აღწერს მეცნიერთა მომზადების სამდონიან მათემატიკურ მოდელს. სამსაფეხურიან მათემატიკურ მოდელში - სამი სუბიექტია: ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები, მეცნიერებათა კანდიდატები და მეცნიერებათა დოქტორები.

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1(t)u - \varepsilon_1(t)u^2 - \beta_1(t)uv - \gamma_1(t)uw, \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = -\alpha_2(t)v - \varepsilon_2(t)v^2 - \gamma_2(t)v + \beta_1(t)uv + \gamma_1(t)uw - \beta_2(t)vw, \\ \\ \dfrac{dw(t)}{dt} = -\alpha_3(t)w - \varepsilon_3(t)w^2 + \gamma_2(t)v + \beta_2(t)vw. \end{cases} \tag{2.3}$$

$$u(0) = u_0,\ v(0) = v_0,\ w(0) = w_0. \tag{2.4}$$

(2.3), (2.4) მათემატიკური მოდელი აღწერს მეცნიერ-მკვლევართა (მეცნიერთა) თვითწარმოების პროცესს და ასევე მათ შეუქცევად გადასვლას ერთი კატეგორიიდან მეორეში.

მოდელში შემოღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$u(t)$ - ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა დროის t მომენტში,

$v(t)$ - მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა დროის t მომენტში,

$w(t)$ - მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერ-მკვლევართა რაოდენობა დროის t მომენტში,

$\alpha_1 u(t)$ - ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა თვითწარმოებაა (დროის ერთეულში სხვაობაა მომზადებასა და გასვლას შორის, რომელიც არ არის დაკავშირებული მეცნიერებათა კანდიდატების კატეგორიაში გადასვლასთან);

$\beta_1 u(t)v(t)$ - მეცნიერებათა კანდიდატების $(v(t))$ მიერ ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა $(u(t))$ მომზადების ინტენსივობაა;

$\gamma_1 u(t)w(t)$ - მეცნიერებათა დოქტორების $(w(t))$ მიერ ხარისხის არმქონე მეცნიერ-მკვლევართა $(u(t))$ მომზადების ინტენსივობაა;

$\alpha_2 v(t)$ - მეცნიერებათა კანდიდატების მეცნიერ-მკვლევართა რიგებიდან გასვლის ინტენსივობაა (გამგზავრება მოცემული სოციუმიდან; სიკვდილიანობა; ინტელექტუალური მიგრაცია; გადასვლა მოღვაწეობის სხვა სფეროში);

$\gamma_2 v(t)$ - მეცნიერებათა დოქტორების კატეგორიაში გადასასვლელად მეცნიერებათა კანდიდატების მიერ თვითმომზადების ინტენსივობაა (მეცნიერებათა დოქტორების სამეცნიერო კონსულტანტების გარეშე);

$\beta_2 w(t)v(t)$ - მეცნიერებათა დოქტორების $(w(t))$ მიერ მეცნიერებათა კანდიდატების $(v(t))$ მეცნიერებათა დოქტორების კატეგორიაში გადასასვლელად მომზადების ინტენსივობაა (მეცნიერებათა კანდიდატების სამეცნიერო კონსულტანტები მეცნიერებათა დოქტორებია);

$\alpha_3 w(t)$ - მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერ-მკვლევართა რიგებიდან გასვლის ინტენსივობაა (გამგზავრება მოცემული სოციუმიდან; სიკვდილიანობა; ინტელექტუალური მიგრაცია; გადასვლა მოღვაწეობის სხვა სფეროში);

$\varepsilon_1 u^2(t),\ \ \varepsilon_2 v^2(t),\ \ \varepsilon_3 w^2(t)$ - სამივე კატეგორიაში თვითშეზღუდვის წევრებია (წევრები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითშეზღუდვას ან უსასრულო წარმოებას);

$\alpha_1, \alpha_2, \alpha_3, \varepsilon_1, \varepsilon_2, \varepsilon_3, \beta_1, \beta_2, \gamma_1, \gamma_2$ - მოდელის დადებითი პარამეტრებია.

მეორე პარაგრაფში განხილულია ორდონიანი მოდელი (2.1), (2.2) მუდმივი კოეფიციენტების შემთხვევაში, რომელიც ფაქტიურად დადის **„მსხვერპლი“** (ხარისხის არმქონე სამეცნიერო კადრები)

- **„მტაცებლის“** (დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერები) კლასიკურ მოდელამდე შიგასახეობრივი კონკურენციის გათვალისწინებით (მატების თვითშეზღუდვის წევრები).

არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას ამონახსნთა ფაზური სიბრტყის პირველ დახურულ მეოთხედში აქვს სამი წონასწორობის მდგომარეობა, ამასთან, ტრივიალური ამონახსნის შესაბამისი წონასწორობის მდგომარეობა, მოდელის პარამეტრების ნებისმიერი მნიშვნელობებისათვის **უნაგირია**, მეორე წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება „მტაცებელთა“ გადაშენებას და „მსხვერპლთა“ წონასწორობის (რაოდენობის უცვლელობის) მდგომარეობას, ერთ შემთხვევაში **უნაგირია**, ხოლო მეორე შემთხვევაში - **მდგრადი კვანძია.**

ნაპოვნია პირობები მოდელის კონსტანტებზე, რომელთათვის სტაციონარული ამონახსნი, მესამე წონასწორობის მდგომარეობა ამონახსნთა ფაზური სიბრტყის პირველ ღია მეოთხედში (დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ერთადერთი **ზღვრული წერტილი),** რომელიც შეესაბამება „მტაცებელთა“ და „მსხვერპლთა“ წონასწორობის თანაარსებობას, იქნება **ასიმპტოტურად მდგრადი** (მდგრადი კვანძი ან მდგრადი ფოკუსი).

დამტკიცებულია შემდეგი თეორემა:

თეორემა 2. თუ სამართლიანია უტოლობა $\alpha_1\beta_2 > \alpha_2\varepsilon_1$, მაშინ:

$$N_2\left[\frac{\alpha_1\varepsilon_2+\alpha_2\beta_1}{\varepsilon_1\varepsilon_2+\beta_1\beta_2},\frac{\alpha_1\beta_2-\alpha_2\varepsilon_1}{\varepsilon_1\varepsilon_2+\beta_1\beta_2}\right]$$

წერტილი შემდეგი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის:

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1 u - \varepsilon_1 u^2 - \beta_1 uv = u(\alpha_1 - \varepsilon_1 u - \beta_1 v), \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = -\alpha_2 v - \varepsilon_2 v^2 + \beta_2 uv = v(-\alpha_2 - \varepsilon_2 v + \beta_2 u) \end{cases} \quad (2.5)$$

ზღვრული წერტილია.

მესამე პარაგრაფში განხილულია სამგანზომილებიანი შემთხვევა:

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1 u - \varepsilon_1 u^2 - \beta_1 uv - \gamma_1 uw, \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = -\alpha_2 v - \varepsilon_2 v^2 + \beta_1 uv + \gamma_1 uw - \beta_2 vw, \\ \\ \dfrac{dw(t)}{dt} = -\alpha_3 w - \varepsilon_3 w^2 + \beta_2 vw. \end{cases} \quad (2.6)$$

ნაპოვნია დინამიური სისტემის (2.6) განსაკუთრებული წერტილები. **რაუსი-გურვიცის მდგრადობის კრიტერიუმის** მეშვეობით გამოკვლეულია მდგრადობაზე განსაკუთრებული წერტილები.

კერძო შემთხვევაში ($\alpha_2 = \alpha_3$, $\beta_1 = \gamma_1$, $\alpha_1 = \alpha_2 = \beta_1$) ნაპოვნია სამგანზომილებიანი დინამიური სისტემის:

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1 u - \beta_1 uv - \gamma_1 uw, \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = -\alpha_2 v + \beta_1 uv + \gamma_1 uw - \beta_2 vw, \\ \\ \dfrac{dw(t)}{dt} = -\alpha_3 w + \beta_2 vw. \end{cases}$$

პირველი ინტეგრალი, რომელიც ამონახსნთა ფაზურ სივრცეში წარმოადგენს **ორგანზომილებიან ზედაპირს:**

$$\frac{u(v+w)}{u_0(v_0+w_0)} = \exp(u-u_0)\exp(v+w-v_0-w_0).$$

მესამე თავში განხილულია უნივერსიტეტებს შორის კონკურენციის პროცესების აღმწერი არაწრფივი მათემატიკური მოდელები.

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \alpha_1(t)u(t) - \beta_1(t)u^2(t) + (\gamma_1(t)-\gamma_2(t))u(t)v(t) + \varepsilon_1(t)u(t)w(t), \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = \alpha_2(t)v(t) - \beta_2(t)v^2(t) + (\gamma_2(t)-\gamma_1(t))u(t)v(t) + \varepsilon_2(t)v(t)w(t), \\ \\ \dfrac{dw(t)}{dt} = \alpha_3(t)w(t) - \beta_3(t)w^2(t) - \varepsilon_1(t)u(t)w(t) - \varepsilon_2(t)v(t)w(t). \end{cases} \tag{3.1}$$

$$u(0)=u_0,\ \ v(0)=v_0,\ \ w(0)=w_0, \tag{3.2}$$

$$\alpha_i(t)>0,\ \ \beta_i(t)>0\ \ i=\overline{1,3}$$

$$\varepsilon_j(t)>0,\ \ \gamma_j(t)>0\ \ \ j=1,2$$

მოდელში შემოღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$u(t)$ - სტუდენტთა რაოდენობა პირველ უნივერსიტეტში დროის t მომენტში,

$v(t)$ - სტუდენტთა რაოდენობა მეორე უნივერსიტეტში დროის t მომენტში,

$w(t)$ - აბიტურიენტთა რაოდენობა დროის t მომენტში, რომელთაც სურთ ჩააბარონ ამ ორიდან რომელიმე უნივერსიტეტში,

$\alpha_1(t) > 0,\ \alpha_2(t) > 0,\ \alpha_3(t) > 0$ - სტუდენტთა და აბიტურიენტთა ზრდის კოეფიციენტებია,

$\beta_1(t) > 0,\ \beta_2(t) > 0$ - მოცემულ უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობის თვითშეზღუდვის კოეფიციენტებია (ავტორიზაციის საბჭო ადგენს მოცემულ უნივერსიტეტში სტუდენტთა მაქსიმალურ დასაშვებ რაოდენობას),

$\beta_3(t) > 0$ - აბიტურიენტთა რაოდენობის თვითშეზღუდვის კოეფიციენტია (მოცემულ რეგიონში დემოგრაფიული სურათიდან გამომდინარე არსებობს აბიტურიენტთა მაქსიმალური რაოდენობა),

$\varepsilon_1(t),\ \varepsilon_2(t) -$ მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტებსა და აბიტურიენტებს შორის თანამშრომლობის (კოოპერაციის, თავის უნივერსიტეტში მოზიდვა) კოეფიციენტებია,

$\gamma_1(t), \gamma_2(t)$ - მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტების მიერ თავისი უნივერსიტეტის რეკლამირების კოეფიციენტებია, რათა მობილობით გადმოიბირონ მეორე უნივერსიტეტიდან სტუდენტები.

$u, v, w \in C^1[0,T]$ - საძებნ ფუნქციებს ვეძებთ სეგმენტზე უწყვეტად დიფერენცირებად ფუნქციათა კლასში.

მეორე პარაგრაფში განხილულია ორ უნივერსიტეტს შორის კონკურენციის არაწრფივი მათემატიკური მოდელი, რომელიც

ითვალისწინებს კონკურენციას როგორც შეზღუდული რაოდენობის აბიტურიენტებისათვის, ასევე სტუდენტების მოზიდვას მობილობით (სტუდენტების გადასვლა ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში). მიღებულია დინამიური სისტემა, რომელიც აღწერს ორი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აბიტურიენტთა რაოდენობების (ნაკადების) დინამიკას. მათემატიკური მოდელის (3.1)-ის მუდმივი კოეფიციენტების შემთხვევაში ნაპოვნია არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის განსაკუთრებული წერტილები. რაუსი - გურვიცის მდგრადობის კრიტერიუმის გამოყენებით შესწავლილია ამონახსნების ასიმპტოტური მდგრადობის საკითხი.

მესამე პარაგრაფში განხილულია ორ უნივერსიტეტს შორის შეზღუდული აბიტურიენტებისათვის კონკურენციის არაწრფივი მათემატიკური მოდელი (მიკრომოდელი, ერთი რეგიონისათვის, სადაც მხოლოდ ორი არჩევანია):

$$\begin{cases} \dfrac{du(t)}{dt} = \varepsilon_1 u(t) w_0 + (\gamma_1 - \gamma_2) u(t) v(t) + \delta_1 w_0, \\ \\ \dfrac{dv(t)}{dt} = \varepsilon_2 v(t) w_0 + (\gamma_2 - \gamma_1) u(t) v(t) + \delta_2 w_0. \end{cases} \tag{3.3}$$

$$u(0) = u_0, \ \ v(0) = v_0, \tag{3.4}$$

$$\varepsilon_j > 0, \ \ \gamma_j > 0, \ \ \delta_j > 0 \ \ j = 1,2$$

სადაც:

$u(t)$ - სტუდენტთა რაოდენობა პირველ უნივერსიტეტში დროის t მომენტში,

$v(t)$ - სტუდენტთა რაოდენობა მეორე უნივერსიტეტში დროის t მომენტში,

W_0 - აბიტურიენტთა საერთო რაოდენობა, რომელთაც ჩააბარეს მისაღები გამოცდები და მოხვდნენ ამ ორიდან რომელიმე უნივერსიტეტში,

ε_1, ε_2 – მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტებსა და აბიტურიენტებს შორის თანამშრომლობის (კოოპერაციის, თავის უნივერსიტეტში მოზიდვა) კოეფიციენტებია,

γ_1, γ_2 - მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტების მიერ თავისი უნივერსიტეტის რეკლამირების კოეფიციენტებია, რათა მობილობით გადმოიბირონ მეორე უნივერსიტეტიდან სტუდენტები.

მოდელი (3.3) ითვალისწინებს ამ უნივერსიტეტების სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებას ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, მოდელში გათვალისწინებულია: სტუდენტთა პირველ კურსზე ახალი ნაკადის მიღება (ადმინისტრაციის მიერ პიარკამპანიით მოზიდული აბიტურიენტები); მოცემული უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აბიტურიენტებს შორის თანამშრომლობა (კოოპერაცია); მოცემული უნივერსიტეტის სტუნდენტების მიერ თავისი უნივერსიტეტის რეკლამირება, რათა მობილობით გადმოიბირონ მეორე უნივერსიტეტიდან სტუდენტები. მოდელის კოეფიციენტების კერძო შემთხვევებში კვადრატურებში ნაპოვნია კოშის ამოცანის (3.3), (3.4) -ის ზუსტი ანალიზური ამოხსნები.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში:

1. T. Chilachava, Ts. Gvinjilia Nonlinear mathematical model of dynamics of processes of cooperation interaction in innovative system. VII International Conference of the Georgian mathematical union, Book of Abstracts, Batumi**, 2016,** pp. 104 – 105;

2. T. Chilachava, Ts. Gvinjilia Nonlinear mathematical model of interaction of fundamental and applied researches Problems of management of safety of difficult systems. The XXIV International Conference, 2016, pp. 289 – 292;

3. T. Chilachava, Ts. Gvinjilia Nonlinear mathematical model of interference of fundamental and applied researches of scientifically-research institute. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications. 2017, № 1(51), pp. 15 - 24;

4. T. Chilachava, Ts. Gvinjilia About some exact solutions of nonlinear systems of the differential equations describing interference of fundamental and applied researches. Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Proceedings, 2017, v. XIII-XIV, pp. 79 – 91;

5. T. Chilachava, Ts. Gvinjilia Mathematical model of interference of fundamental and applied researches. VIII International Conference of the Georgian mathematical union, Book of Abstracts, Batumi, 2017, pg. 77;

6. T. Chilachava, Ts. Gvinjilia Nonlinear two or three-stage mathematical model of training of scientists. VIII International Conference of the Georgian mathematical union, Book of Abstracts, Batumi, 2017, pp. 77 – 78;

7.T. Chilachava, Ts. Gvinjilia Nonlinear Mathematical Model of Interference of Fundamental and Applied Researches. International Journal of Systems Science and Applied Mathematics, 2017, 2(6), pp. 110 – 115;

8.T. Chilachava, Ts. Gvinjilia Research of the dynamic systems describing mathematical models of training of the diplomaed scientists. Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Reports, 2017, vol. 43, pp. 17 – 29;

9.T. Chilachava, Ts. Gvinjilia Research of three and two-dimensional nonlinear dynamical systems describing the training of scientists. Applied Mathematics, Informatics, Mechanics, 2017, vol. 22, No.1, pp. 3 – 20;

10. T. Chilachava, Ts. Gvinjilia Mathematical Model of Competition Between Two Universities. IX International Conference of the Georgian mathematical union, Book of Abstracts, Batumi, 2018, pg. 100.

LEPL SOKHUMI STATE UNIVERSITY
Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy

The right of manuscript

Tsira Gvinjilia

MATHEMATICAL MODELING OF PROCESSES OF INTERFERENCE OF SCIENTIFIC RESEARCH, TRAINING OF SCIENTISTS AND COMPETITION OF THE UNIVERSITIES

A b s t r a c t

of presented dissertation for Ph.D. academic degree in Mathematics

Tbilisi
2019

Dissertation is fulfilled at the Faculty of Natural Science, Mathematics, Technology and Pharmacy of the LEPL Sokhumi State University

Scientific adviser:	**Temur Chilachava** Doctor of Physical and Mathematical Sciences, professor of Applied Mathematics of the Sukhumi State University, a member of the Academy of Science Natural Sciences and Education of Georgia, vice -president Tskhum-Abkhazian Academy of Science.
Experts:	**Tamaz Obgadze** Doctor of Technical Sciences, Professor of the Georgian Technical University, Full Member of the Georgian Engineering Academy **Romeo Galdava** PhD in Physics and Mathematics, Associate Professor of the Department of Applied Mathematics, Sukhumi State University
Official reviewers:	**Temur Dzhangveladze** Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor of Georgian Technical University, Senior Researcher, Institute of Applied Mathematics I.Vekua Tbilisi State University Ivane Javakhishvili **Nestan kekelia** Candidate of Physical and Mathematical Sciences, Assistant Trade Union, Department of Pure Mathematics, Sukhumi State University

Dissertation will be presented 19.11.2019 (15:00), at the session of the Dissertation Commission of the Faculty of Natural Science, Mathematics, Technology and Pharmacy of the LEPL Sokhumi State University
